საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ზ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი თ. თ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.10.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 093/22

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ა. კ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 31 ოქტომბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ზ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2023 წლის 20 ივნისს, 27 ივნისსა და 3 აგვისტოს საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ადვოკატი თ. თ. ესწრებოდა განხილვის კოლეგიის სხდომებს. 2023 წლის 27 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაში მონაწილეობას იღებდა საჩივრის ავტორიც - გ. ზ.. მომჩივანმა მხარემ განხილვის კოლეგიის სხდომებზე წარმოადგინა ზეპირი განმარტება და მხარი დაუჭირა წერილობით წარმოდგენილ საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ა. კ. იყო მოწინააღმდეგე მხარის - ნ. მ.-ის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ საქმეზე N---. აღნიშნული საქმის განხილვისას, 2022 წლის

28 ივნისის სასამართლო სხდომაზე, მოპასუხე მხარის ადვოკატმა - ა. კ.-მა გ. ზ.-ს მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით - ,,უყურე ერთი ამას, შენს შიზოფრენიებს უსმენს აქ მთელი საქართველო მთელი 3 თვე...“; ,,შიზოფრენიანს ვუსმენთ ყველა, მთელი საზოგადოება და მომეცით საშუალება აზრი გამოვთქვა...“; ,,შიზოფრენიაა ეს ყველაფერი აბა რა არის...“; ,,შიზოფრენიას ვისმენთ თქვენსას თქო, მხარის, ფეისბუქ გვერდზე, ამას ვგულისხმობ, წარმოდგენილია მტკიცებულებები...“; 2023 წლის 3 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ადვოკატმა თ. თ.-მა განმარტა, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ გამოყენებული ტერმინი „შიზოფრენია“, საერთო კონტექსტის გათვალისწინებით მიემართებოდა უშუალოდ გ. ზ.-ს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამავე სასამართლო სხდომაზე, ადვოკატმა - ა. კ.-მა საპაექრო სიტყვის წარმოთქმის დროს, სასამართლოს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, წარსულში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გ. ზ.-ის წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხებოდა გ. ზ.-ის მიერ ,,თანამესაკნე“ ქალის გაუპატიურების ბრალდებას და გ. ზ.-ს მოიხსენიებდა როგორც „დამნაშავეს“. მომჩივანი მხარის შეფასებით, აღნიშნული ქმედებით ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო აღნიშნულ საქმეზე გ. ზ.-ის მიმართ დამდგარი გამამართლებელი განაჩენის შესახებ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მოწინააღმდეგე მხარის მიმართ განზრახ ავრცელებდა არასწორ ინფორმაციას. 2023 წლის 27 ივნისისა და 3 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომებზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ადვოკატმა - თ. თ.-მა დააზუსტა, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“-ის ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ სტატიებში მითითებულია, რომ გ. ზ. გამართლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, რაც ადვოკატმა ა. კ.-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2022 წლის 28 ივნისს გამართულ სასამართლო პროცესზე უგულვებელყო და ცდილობდა ფაქტები სხვაგვარად წარმოეჩინა, რაც ემსახურებოდა მისი კლიენტის დამცირების მიზანს. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი ა. კ. 2023 წლის 28 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს არწმუნებდა, რომ არსებობდა სტატიები, რომლებიც დაადასტურებდა გ. ზ.-ის ბრალეულობას, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გ. ზ.-მ განმარტა, რომ მოგვიანებით, ის გაამართლა ჰარვარდის უნივერსიტეტმაც.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2021 წლის 7 აპრილს, ადვოკატ ა. კ.-ს მასთან კომუნიკაცია ჰქონდა საჩივრის ავტორის ადვოკატის - ლ. კ.-ის გვერდის ავლით. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 1 სექტემბერს საჩივრით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით. 2021 წლის 4 მარტს ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე, რის შემდეგაც, 2021 წლის 7 აპრილს მას ადვოკატმა ა. კ.-მა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა წერილი, სადაც ადვოკატი ემუქრებოდა საჩივრის ავტორს, რომ ის მის წინააღმდეგ მიმართავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით, თუ ის არ მოიხდიდა ბოდიშს წერილობითი ფორმით და არ გამოთქვამდა ,,წუხილს“ ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ დაშვებული შეცდომის გამო, რაც გამოიხატა გ. ზ.-ის მხრიდან ადვოკატ ა. კ.-ის წინააღმდეგ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში 2020 წლის 1 სექტემბერს შეტანილი საჩივრის შინაარსით. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი უთითებს, რომ ა. კ.-მა 2021 წლის 1 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა

წერილით - ,,გ. ზ.-ის ნ. ი.-ის, მ. ც.-ს და ლ. კ.-ის შეთანხმებული და ნ. მ.-ის მომაკვდინებელი გეგმის შესახებ“ - აღნიშნული წერილი თავისი შინაარსით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადვოკატ ა. კ.-ისათვის ცნობილი იყო, რომ ამ პერიოდისათვის გ. ზ.-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ლ. კ., თუმცა მიუხედავად ამისა 2021 წლის 7 აპრილს, ადვოკატმა ა. კ.-მა კომუნიკაცია დაამყარა არა ადვოკატ ლ. კ.-სთან, არამედ გ. ზ.-სთან და მას წაუყენა ისეთი მოთხოვნა, რომელსაც შესაძლოა დაეზიანებინა გ. ზ.-ის ინტერესები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. კ.-მა 2022 წლის 16 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ გ. ზ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2023 წლის 20 ივნისს, 27 ივნისსა და 3 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომებზე ადვოკატმა ა. კ.-მა მხარი დაუჭირა წერილობით ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილ დასაბუთებას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ბოლო 10 თვის განმავლობაში ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეს წარმოადგენს გ. ზ.-ისა და მისი ერთ-ერთი შვილის - ც. ზ.-ის საქმე. ადვოკატ ა. კ.-ის მონაწილეობით, აღნიშნულ საქმეზე, 1 წლის განმავლობაში გ. ზ.-მ 4-ჯერ მიიღო დროებითი განკარგულება, მას შეეზღუდა მამობის უფლება, ხოლო ც. ზ.-ს მიეცა მონაწილეობის უფლება საზღვარგარეთ დაგეგმილ სართაშორისო ღონისძიებაზე, რის შემდეგაც გ. ზ.-მ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ნ. მ.-ის, ბავშვების აღმზრდელი ბებიის, მიმართ დამცავი ორდერის გამოცემა. აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, გ. ზ., როგორც პროცესუალურად დამარცხებული მხარე, მას აყენებდა ღია და აშკარა შეურაცხყოფას, კერძოდ 2022 წლის 27 სექტემბერს გ. ზ.-მ პირად „Facebook“ გვერდზე გააკეთა განცხადება - ,,ნ. მ.-ის ადვოკატი ა. კ. არის სრულიად უვიცი იურისტი და ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი. მას არ აქვს არც განათლება არც ინტელექტი, რომ წარადგინოს იურიდიულად გამართული არგუმენტები სასამართლოში. მას შეუძლია მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის ლანძღვა და ცილისწამება. გარდა ამისა, იგი იქცევა როგორც ჯამბაზი სასამართლოში: ზოგჯერ შენობით ესაუბრება მოსამართლეებს, ლანძღავს და ემუქრება სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგს და სხვა ადვოკატებს. სასამართლოს შესვენებისას დერეფანში უკან დამსდევს და უზრდელად, ხმამაღალი ტონით მესაუბრება, უმეტესმა მოსამართლემ კარგად იცის, თუ რას წარმოადგენს ა. კ.“. აღნიშნული განცხადება ადასტურებს იმას, რომ გ. ზ. ყველა საშუალებას იყენებს, ა. კ.-ის პროფესიული ავტორიტეტის მიმართ ნეგატიური აზრის დასამკვიდრებლად.

2.4 ადვოკატმა ა. კ.-მა 2023 წლის 20 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის გვერდის ავლით მხარესთან კომუნიკაციაზე განმარტა, რომ ადვოკატი ლ. კ. გ. ზ.-ს წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რაც შეეხება მის მიერ მომჩივანისათვის გაგზავნილ წერილს, წერილი ეხებოდა ადმინისტრაციულ საქმეს, რომელიც უკვე დასრულებული იყო. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებსა და ეთიკის კომისიაში მომჩივანის წარმომადგენელი იყო ადვოკატი თ. თ.. ადვოკატის განცხადებით, მისი წერილი

ეხებოდა გ. ზ.-ის მიერ ა. კ.-ის მიმართ არასწორი ფაქტების გავრცელებასა და ცილისწამებას, რის შესახებაც დავა დასრულდა ადვოკატის სასარგებლოდ. ადვოკატი, საკუთარ წერილში, ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვით მოუწოდებდა მომჩივანს ბოდიში მოეხადა მისი დისკრედიტაციის მცდელობისთვის და ატყობინებდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღებდა სამართლებრივ ზომებს. ადვოკატის განმარტებით, წერილის შინაარსი არ ეხებოდა რომელიმე მიმდინარე დავას და წარმოადგენდა ადვოკატის პოზიციას გ. ზ.-ის პირად დამოკიდებულებაზე. ადვოკატმა ა. კ.-მა 2023 წლის 20 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ვინაიდან ადვოკატი ლ. კ. აღნიშნულ საქმეში არ იყო მომჩივანის წარმომადგენელი, ადმინისტრაციული საქმე იყო დამთავრებული და მომჩივანის ადვოკატს აღარ წარმოადგენდა თ. თ., მისი პრეტენზიები კი მიემართებოდა მასსა და საჩივრის ავტორს შორის არსებულ პირად დავას, სსიპ „ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში დასრულებულ დისციპლინურ საქმეზე, სადაც მხარეებს წარმოადგენდნენ გ. ზ. და ადვოკატი ა. კ.. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, მან წერილი გაუგზავნა უშუალოდ მომჩივანს, რაც ადვოკატის შეფასებით, არ წარმოადგენს პროფესიული ეთიკის სტანდარტის დარღვევას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან ადმინისტრაციულ საქმეზე N---, 2022 წლის 28 ივნისს, სასამართლო სხდომაზე წარადგინა კლიენტის მიერ მიწოდებული მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც ამერიკის შეერთებული შტატების პრესა საუბრობდა გ. ზ.-ის მხრიდან ქალის გაუპატიურების და ჰარვარდიდან მისი გარიცხვის შესახებ. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო პროცესზე ამერიკული პრესის სტატიების წარდგენისას, მან მიუთითა სტატიების მიღების წყარო და ინფორმაციის მიღების მიზნით დარეკა შესაბამის გამოცემებში, სადაც დაუდასტურეს, რომ სტატიები ნამდვილად მათ მიერ იყო გამოქვეყნებული. ადვოკატის განმარტებით, სტატიებში მითითებული იყო, რომ ამერიკაში მომხდარი შემთხვევის შემდეგ, ჰარვარდის უნივერსიტეტი დიდი ხნის განმავლობაში უარს ამბობდა საჩივრის ავტორისათვის სტატუსის აღდგენაზე. ადვოკატმა დაადასტურა, რომ მან 2022 წლის 28 ივნისს, სასამართლო პროცესზე, ნამდვილად გამოიყენა ტერმინის „დამნაშავე“, თუმცა, მოსამართლის მითითების შემდეგ, რომ აღნიშნული შემთხვევა, რომელიც პრესაში იყო განხილული, გ. ზ.-ის მიერ ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით, არ უნდა მოხსენიებულიყო დანაშაულად, ადვოკატი ა. კ. სტატიებში აღწერილ გარემოებებს უწოდებდა შემთხვევას; განმარტავდა, რომ არ გააჩნია მოწინააღმდეგე მხარის უფლებების შელახვის მიზანი და ბოდიში მოუხადა საჩივრის ავტორს. ადვოკატის განმარტებით, მიმდინარე სასამართლო სხდომაზე, მასსა და გ. ზ.-ს შორის არსებული დაძაბული კომუნიკაციის გათვალისწინებით, მოსამართლემ ორივე მხარე დააჯარიმა. ადვოკატის განმარტებით, მოსამართლის შენიშვნის შემდეგ, მას მთელი სხდომის განმავლობაში აღარ გამოუყენებია სადავო ტერმინი. 2023 წლის 20 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მას, იმის გათვალისწინებით, რაც ტერმინის „დამნაშავე“ გამოყენებას მოჰყვა, არ უნდა გამოეყენებინა სადავო ტერმინი მომჩივანის მიმართ, უნდა ესარგებლა დუმილის უფლებით და მომავალში სწორედ ამ პრინციპის დაცვით განახორციელებს საადვოკატო საქმიანობას. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული შემთხვევის შემდეგ, ის განსაკუთრებული სიფრთხილით იყენებს ტერმინს „დამნაშავე“ - მხოლოდ სავარაუდოობის გამომხატველ ფრაზეოლოგიასთან ერთად.

2.6 ადვოკატის განმარტებით, გ. ზ. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ხშირად აწყვეტინებდა აზრს ადვოკატ ა. კ.-ს, არღვევდა სასამართლო სხდომის წესებს. მოწინააღმდეგე მხარის ქმედებების გამო ადვოკატმა გააკეთა მწვავე შეფასება - ,,შექმნილი ვითარება არახალია, ჰგავდა ჩვეულ შიზოფრენიას", მოსამართლის შეკითხვაზე თუ ვის გულისხმობდა ადვოკატი ამ სიტყვების ქვეშ, ა. კ. არ უთითებდა გ. ზ.-ზე და განმარტავდა, რომ საჩივრის ავტორი პროცესის მიმდინარეობისას ქმნიდა კონფლიქტურ სიტუაციას და არ აძლევდა მოპასუხე მხარეს აზრის გამოთქმის საშუალებას და ტერმინი ,,შიზოფრენიის" ქვეშ სწორედ ამ ვითარების შეფასება გამოიხატა. ადვოკატმა ა. კ.-მა 2023 წლის 20 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ მართალია აღნიშნული ტერმინი საკმაოდ მკვახედ ჟღერს, თუმცა მას პერსონიფიცირებულად გ. ზ.-ისათვის არ მიუმართავს და ტერმინი გამოიყენა იმ კონფლიქტური სიტუაციის აღსაწერად, რაც მიმდინარეობდა სასამართლო პროცესზე. ადვოკატმა პატივისცემა გამოხატა საჩივრის ავტორის მიმართ და განაცხადა, რომ მისი პროფესიული საქმიანობის მანძილზე, ეთიკის კომისიაში, საჩივრის ავტორის გარდა, სხვა არც ერთი პირის მიერ მის მიმართ საჩივარი არასდროს წარმოდგენილა. 2023 წლის 27 ივლისისა და 3 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომებზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მან სადავო ტერმინი გამოიყენა მსჯელობის პროცესში, რომლის დასრულების საშუალებასაც გ. ზ. არ აძლევდა და ხაზი გაუსვა იმ ხმაურს, რასაც ადგილი ჰქონდა სასამართლო პროცესზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 14 დეკემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა დაარღვია კანონიერების პრინციპი, პროცესის მონაწილესთან ქცევისა და მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის გვერდის ავლით კომუნიკაციის სტანდარტები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(გ) და 6.1; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში - „ეთიკის კოდექსი") მე-5, 9.1, 9.3, 9.4 და 10.4 მუხლები), რადგან ადვოკატმა პროცესის მონაწილეს - საჩივრის ავტორს უწოდა „დამნაშავე", სასამართლოს მიაწოდა მცდარი ინფორმაცია გ. ზ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე; გ. ზ.-ს მიმართა შემდეგი ფრაზებით: „უყურე ერთი ამას, შენს შიზოფრენიას უსმენს აქ მთელი საქართველო, მთელი 3 თვე... შიზოფრენიას ვუსმენთ ყველა, მთელი საზოგადოება და მომეცით საშუალება აზრი გამოვთქვა.... შიზოფრენიაა ეს ყველაფერი აბა რა არის..."; გ. ზ.-ს გაუგზავნა წერილი ადვოკატის გვერდის ავლით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 ადვოკატი ა. კ. წარმოადგენდა გ. ზ.-ის მოწინააღმდეგე მხარის - ნ. მ.-ის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ადმინისტრაციულ საქმე N---).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. 2022 წლის 31 ოქტომბრის ამონაწერი საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების სისტემიდან.

4.1.2 ადვოკატი ა. კ., როგორც ნ. მ.-ის წარმომადგენელი მონაწილეობდა 2022 წლის 28 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესში (ადმინისტრაციული საქმე N---).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოში 2022 წლის 28 ივნისს გამართული სხდომის (ადმინისტრაციული საქმე N---) ოქმი.

4.1.3 გ. ზ.-ის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სამოქალაქო საქმეზე N--- წარმოადგენდა ადვოკატი ლ. კ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატის ახსნა-განმარტება;

2. ადვოკატ ლ. კ.-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სამოქალაქო საქმეზე N---, 30.03.2021 წელს წარდგენილი განცხადება.

4.1.4 ადვოკატმა ა. კ.-მა, გ. ზ.-ს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, გაუგზავნა წერილი 2021 წლის 7 აპრილს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. ადვოკატ ა. კ.-ის მიერ გ. ზ.-ისათვის 2021 წლის 7 აპრილს გაგზავნილი შეტყობინება ელ. ფოსტიდან, ელ. ფოსტაზე.

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:

4.2.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ 2022 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის N--- განხილვისას, ადვოკატმა ა. კ.-მა გ. ზ.-ის მიმართ გააჟღერა შემდეგი შინაარსის ფრაზები: „უყურე ერთი ამას, შენს შიზოფრენიას უსმენს აქ მთელი საქართველო, მთელი 3 თვე... შიზოფრენიას ვუსმენთ ყველა, მთელი საზოგადოება და მომეცით საშუალება აზრი გამოვთქვა.... შიზოფრენიაა ეს ყველაფერი აბა რა არის...“. ფრაზები მიემართებოდა უშუალოდ გ. ზ.-ს.

ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას, სადავო ფრაზებზე მხარეებმა წარმოადგინეს განსხვავებული განმარტებები. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული ფრაზები ადვოკატმა ა. კ.-მა გამოიყენა პირადად გ. ზ.-ის მიმართ და ადვოკატი, გ. ზ.-ს მოიხსენიებდა, როგორც შიზოფრენიით დაავადებულს. მომჩივანის განცხადების საპირისპიროდ, ადვოკატმა ა.

კ.-მა განმარტა, რომ გ. ზ. ხელს უშლიდა სასამართლო პროცესის მშვიდ გარემოში ჩატარებას, ხშირად აწყვეტინებდა ადვოკატს სიტყვას, განგებ იწვევდა ხმაურს, არღვევდა წესრიგს და ცდილობდა მისთვის ხელი შეეშალა საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში. ადვოკატის განმარტებით, სწორედ აღნიშნული პროცესების შესაფასებლად გამოიყენა მან ტერმინი „შიზოფრენია“, მისი ნათქვამი არ მიემართებოდა უშუალოდ გ. ზ.-ის პიროვნებას და აღწერდა სხდომაზე შექმნილ ვითარებას.

განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2022 წლის 28 ივნისს გამართული სხდომის (ადმინისტრაციული საქმე N---) ოქმი. განხილვის კოლეგიის მიერ, წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა დაძაბულ ფორმატში, მოწინააღმდეგე მხარეებისა და ადვოკატების პაექრობის ფონზე. დაპირისპირებულ მხარეთა ადვოკატები გამოთქვამდნენ კრიტიკულ მოსაზრებებს და გ. ზ.-სა და ადვოკატ ა. კ.-ს შორის 13:45:15 – 13:53:09 საათებში მიმდინარეობს ცხარე პოლემიკა, საიდანაც 13:52:15 – 13:53:09 საათების დროის მონაკვეთში მიმდინარე პაექრობისას ადვოკატი იყენებს სადავო ფრაზებს. განხილვის კოლეგია განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2022 წლის 28 ივნისს გამართული სხდომის (ადმინისტრაციული საქმე N---) ოქმის მოსმენის შედეგად დგინდება, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ საჩივრის ავტორის მიმართ სადავო ფრაზების გამოყენებას, წინ უძღოდა მასსა და გ. ზ.-ს შორის გამართული დაძაბული დიალოგი (13:45:58 - 13:52:15 საათების დროის მონაკვეთი), რომელიც შეეხებოდა გ. ზ.-ის სისხლის სამართლის საქმეს და რომლის შინაარსიც შემდეგია:

ადვოკატი ა. კ.: „.... რატომ მივიდა ქალბატონი ი. ამ მდგომარეობამდე?

მივიდა იმიტომ რომ მისთვის ცნობილი გახდა ბატონი გ.ს ამერიკაში, წარსულში

ჩადენილი დანაშაული...“

მოსამართლე: „გამართლებულია, შეწყვეტილია ხომ ეს.... დაიცავით უდანაშაულობის

პრეზუმფცია...“

ადვოკატი ა. კ.: „შემთხვევა.“

მოსამართლე: „შემთხვევა, კიბატონო“

ადვოკატი ა. კ.: „კეთილი, შემთხვევა. მე დავიცავ უდანაშაულობის

პრეზუმფციას. ეს დახურული სხდომაა.“

მოსამართლე: „ყველგან უნდა იქნეს დაცული უდანაშაულობის პრეზუმფცია“

ადვოკატი ა.კ.: „მე დავიცავ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ ფაქტები მეტყველებს სხვაზე . წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, იმდროინდელი ამერიკული პრესა საუბრობს, რ ომ ადამიანმა თანასაკნელი ქალბატონი გააუპატიურა.“

გ.ზ.: „ასეთ რამეს არ ამბობს, ეს არის ცილისწამება, ასეთი რამ როგორ შეიძლება. ბოდიში მომიხა დეს.“

მოსამართლე: „ბატონო გ. საქმეში არის მტკიცებულება, რომ გამამტყუნებელი განაჩენი არ დამდ გარა. ბატონო ა. კ., ის ფაქტები რაც დადასტურებული არ არის..“

ადვოკატი ა. კ.: „დადასტურებულია“

მოსამართლე: „არ არის განაჩენი“

ადვოკატი ა. კ.: „არა არა, მაგაზე არ არის საუბარი“

მოსამართლე: „დამაცადეთ, თუ ზოგადად ფაქტი გახდა განქორწინების საფუძველი თქვენ ეს

უკვე აღნიშნეთ, მაგრამ შინაარსი, ის რაც არ არის დადასტურებული და ბრალდებას შეეხება

ადამიანის ამას ნუ გააჟღერებთ. ფაქტი წარმოადგინეთ კიდეც, რომ ოდესღაც რაღაცა

გარემოება არსებობდა.. ეს არ არის გამამტყუნებელი განაჩენი.“

ადვოკატი ა. კ.: „თქვენ გაეცანით ამ მტკიცებულებებს? საკმარისია

ჩემთვის.“

მოსამართლე: „თქვენ ხომ იცით სადამდე მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია?“

ადვოკატი ა. კ.: „თუ ჩემს მეორე წინადადებას და აზრს მოუსმენს

სასამართლო...“

მოსამართლე: „გააგრძელეთ იქიდან როცა განქორწინებაზე მიმართა ქალბატონმა ი.მ“

ადვოკატი ა. კ.: „კიბატონო, ამის შემდეგ მე მსურდა იმის თქმა, რომ

ჰარვარდში ფაქტი მოხდა. მსურდა იმის თქმა, რომ“

გ. ზ.: „რა უნდა ამ ადამიანს...“

ადვოკატი ა. კ.: „....დაჭერილი არ იყავით სამი კვირა? არა? მოიტანე მტკიცებულება.

დოკუმენტი მოიტანე.“

მოსამართლე: „ბატონო ა. კ. თავი შეიკავეთ.“

ადვოკატი ა. კ.: „ჰარვარდში დაგაბრუნეს? იმიტომ რომ დამნაშავე ხართ.“

გ. ზ.: „რატომ ვარ დამნაშავე?“

ადვოკატი ა. კ.: „თქვენ ხომ ზნეობრივი გმირი ხართ და მოიქეცით

შესაბამისად“

გ. ზ.: „რა არის ეს?“

ადვოკატი ა. კ.: „რა არის და სიმართლე. ფაქტზე მივუთითებ. მტკიცებულება არსებობს....“

ადვოკატი თ.თ.: „გაუპატურებასა და მცდელობას შორის ხომ დიდი განსხვავებაა, ეს უნდა იცოდ ეთ....“

ადვოკატი ა. კ.: „გააუპატიურა.... მომეცით საშუალება იმ მტკიცებულებაზე მივუთითო, რაც მე მიმაჩნია რელ ევანტურად... გააჩერეთ ეგ კაცი...“

მოსამართლე: „თუ რომელიმე ფაქტზე მიუთითებთ..“

ადვოკატი ა. კ.: „მტკიცებულებას ვგულისხმობ, არათუ ფაქტზე მივუთითებ...“

მოსამართლე: „ნუ წარმოაჩენთ ისე, თითქოს გამამტყუნებელი განაჩენი არის... ნუ აპელირებთ

ისეთ ფაქტზე, რაც დადასტურებული არ არის. ამაზე აქვს პროტესტი ბატონ გ.ს...“

ადვოკატი ა. კ.: „არ მივუთითებ, არ ვაპელირებ... მომეცით შესაძლებლობა,

პროტესტი მიღებულია.“

ადვოკატი ა. კ.: „ფაქტს ჰქონდა ადგილი…“

გ. ზ.: „ადგილი ჰქონდა ბრალდებას...“

ადვოკატი ა. კ.: „ერთი წამით გაჩერდი...“

გ. ზ.: „.....უვიცი....“

ადვოკატი ა. კ.: „უვიცი ხარ შენ! კორექტულად იყოს.“

მოსამართლე: „ნუ აყენებთ შეურაცხყოფას ერთმანეთს...“

აღნიშნული დიალოგის შემდეგ, მხარეთა შორის კვლავ გრძელდება შემდეგი შინაარსის პაექრობა (2023 წლის 28 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმი (ადმინისტრაციული საქმე N---) 13:52:15 – 13:53:09 სთ):

ადვოკატი ა. კ.: „უყურეთ ერთი ამას... შენს შიზოფრენიებს ვისმენთ მთელი

საქართველო, მთელი სამი თვეა რა... შიზოფრენიებს ვუსმენთ ყველა, მთელი საზოგადოება

და მომეცით შესაძლებლობა რომ აზრი გამოვთქვა. შიზოფრენიაა ეს ყველაფერი აბა რა არის.“

მოსამართლე: „რა არის შიზოფრენია?“

ადვოკატი ა. კ.: „ის რომ გეჭრება, არ გაცდის შესაძლებლობას, ილანძღება“

მოსამართლე: „ვის უწოდეთ შიზოფრენიკი?“

ადვოკატი ა. კ.: „შიზოფრენიას ვისმენთ თქვენსთქო, მხარის, ფეისბუქ

გვერდზე, ამას ვგულისხმობ“

მოსამართლე: „ფესიბუქ გვერდზე რა შუაშია?“

ადვოკატი ა. კ.: „წარმოდგენილია დოკუმენტები, თქვენ არ კითხულობთ

მტკიცებულებებს?“

მოსამართლე: „კორექტული იყავით. არ არის ეს ტერმინები მიღებული ეს შიზოფრენია...“

ადვოკატი: „უვიციო ადამიანი იძახის და უკაცრავად“

მოსამართლე: „ნუ მიაყენებთ შეურაცხყოფას, მე მოგიწოდებთ, თქვენც და ბატონო გ.

თქვენც, ზრდასრული ადამიანები ბრძანდებით, უნდა შეგეძლოთ ერთმანეთის მოსმენა, რაც

არ უნდა არასასიამოვნო იყოს ეს მოსასმენად....“

განხილვის კოლეგიამ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისს გამართული სხდომის (ადმინისტრაციული საქმე N---) ოქმის საფუძველზე, ადვოკატ ა. კ.-ის ფრაზები შეაფასა არა განყენებულად, არამედ ერთიანი კონტექსტის გათვალისწინებით. განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას და განმარტავს, რომ 2022 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე განვითარებული მოვლენები, გ. ზ.-სა და ადვოკატ ა. კ.-ს შორის მიმდინარე დაძაბული დიალოგი, მათი საუბრის შინაარსი, პაექრობის უწყვეტი ხასიათი და ურთიერთდამოკიდებულება, მოსამართლის მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე ადვოკატის არათანმიმდევრული პასუხები, როდესაც ადვოკატმა თავდაპირველად განმარტა, რომ შიზოფრენიაა, როცა „გეჭრება, არ გაცდის საუბარს“, ხოლო მოგვიანებით განმარტა, რომ აღნიშნული ტერმინი გამოიყენა მხარის ფეისბუქ გვერდზე ასახული მოვლენების შესაფასებლად, გონიერ დამკვირებელს დაარწმუნებს იმ ფაქტში, რომ ადვოკატმა ფრაზები: „უყურე ერთი ამას, შენს შიზოფრენიას უსმენს აქ მთელი საქართველო, მთელი 3 თვე... შიზოფრენიას ვუსმენთ ყველა, მთელი საზოგადოება და მომეცით საშუალება აზრი გამოვთქვა.... შიზოფრენიაა ეს ყველაფერი აბა რა არის...“ სწორედ გ. ზ.-ის მიმართ გააჟღერა და აღნიშნული ფრაზები კონტექსტისა და მათი შინაარსის გათვალისწინებით არ წარმოადგენდა მიმდინარე მოვლენების შეფასებას. ადვოკატი საუბრობდა უშუალოდ გ. ზ.-ზე მტკიცებით ფორმატში და მისი სიტყვები მიემართებოდა პირადად მოწინააღმდეგე მხარეს („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (გ) მუხლისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 და 9.4 მუხლების დარღვევა).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისს გამართული სხდომის (ადმინისტრაციული საქმე N---) ოქმი.

4.2.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისს გამართულ სასამართლო პროცესზე (ადმინისტრაციული საქმე N---) გ. ზ.-ს უწოდა „დამნაშავე“ და ამერიკული პრესის სტატიებზე მითითებით ცდილობდა სასამართლო დაერწმუნებინა, რომ საჩივრის ავტორმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას, განხილვის კოლეგიის 2023 წლის 20 ივნისს, 27 ივნისსა და 3 აგვისტოს სხდომებზე ადვოკატმა ა. კ.-მა დაადასტურა, რომ მან ნამდვილად გამოიყენა ტერმინი „დამნაშავე“ საჩივრის ავტორის მიმართ, თუმცა მას შემდეგ რაც მოსამართლემ მას შენიშვნა მისცა, მან ბოდიში მოუხადა საჩივრის ავტორს, რის შემდეგაც იყენებდა ტერმინს „შემთხვევა“. ადვოკატის განმარტებას არ დაეთანხმა გ. ზ. და აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატი მტკიცებით ფორმატში იმეორებდა, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, რაც დასტურდება მტკიცებულებებით, მათ შორის ამერიკულ პრესაში გავრცელებული სტატიებით, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

ადვოკატ ა. კ.-ის მიერ გ. ზ.-ის, როგორც პროცესის მონაწილის უფლებების შელახვაზე და ადვოკატის მიერ სადავო ტერმინოლოგიის გამოყენებაზე განხილვის კოლეგიამ იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2022 წლის 28 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომის (ადმინისტრაციული საქმე N---) ოქმზე დაყრდნობით. სხდომის ოქმში მკაფიოდ ისმის საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის მიმდინარე საუბარი და დგინდება, რომ მათ შორის კამათი სწორედ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ გამოყენებულ ტერმინს „დამნაშავე“ მოჰყვა, რაც მიემართებოდა გ. ზ.-ს. სასამართლო სხდომის ოქმის 13:45:58 - 13:52:15 საათების დროის მონაკვეთი ასახავს დაპირისპირებულ მხარეთა შორის მიმდინარე დიალოგს (იხ. გადაწყვეტილების 4.2.1 პუნქტი). სასამართლო სხდომის ოქმის საშუალებით დგინდება, რომ გ. ზ.-სა და ადვოკატ ა. კ.-ს შორის კამათი დაახლოებით რვა წუთის განმავლობაში მიმდინარეობს. ადვოკატი წარმოთქვამს შემდეგ ფრაზას:
„რატომ მივიდა ქალბატონი ი. ამ მდგომარეობამდე? მივიდა იმიტომ რომ მისთვის ცნობილი გახ და ბატონი გ.ს ამერიკაში, წარსულში ჩადენილი დანაშაული...“, მოსამართლის შენიშვნას, დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია და არ გამოიყენოს ტერმინი დამნაშავე, ადვოკატი პასუხობს: „შემთხვევა“; თუმცა, სასამართლო პროცესზე ადვოკატი კვლავ განაგრძობს აღნიშნული ტერმინის გამოყენებს და აჟღერებს შემდეგ ფრაზებს: „მე დავიცავ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ ფაქტები მეტყველებს სხვაზე. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, იმდროინდელი ამერიკული პრესა საუბრობს, რომ ადამიანმა თანასაკნელი ქალბატონი გააუპატიურა.“ რომ აღნიშნული ფაქტი „დადასტურებულია“; მოსამართლის შენიშვნას, რომ ფაქტი არ არის დადასტურებული, პასუხობს: „თქვენ გაეცანით ამ მტკიცებულებებს? საკმარისია ჩემთვის.“; მიმართავს გ. ზ.-ს: „....დაჭერილი არ იყავით სამი კვირა? არა? მოიტანე მტკიცებულება. დოკუმენტი მოიტანე.“ „ჰარვარდში დაგაბრუნეს? იმიტომ რომ დამნაშავე ხართ.“;
გააუპატიურა.... მომეცით საშუალება იმ მტკიცებულებაზე მივუთითო, რაც მე მიმაჩნია რელევანტურად... გააჩერეთ ეგ კაცი“; „მტკიცებულებას ვგულისხმობ, არათუ ფაქტზე მივუთითებ“; „ფაქტს ჰქონდა ადგილი“.

განხილვის კოლეგიამ ასევე შეისწავლა ადვოკატ ა. კ.-სა და ადვოკატ თ. თ.-ის მიერ წარმოდგენილი ამერიკული პრესის სტატიები (სპრინგფილდის კავშირი - ახალი ამბები და კვირის რესპუბლიკური სპრინგფილდი; გამოქვეყნების თარიღი: 28/12/2003), რომლებიც ადვოკატმა ა. კ.-მა გამოიყენა სასამართლოში. განხილვის კოლეგიის მიერ სტატიების შინაარსის შესწავლისას დადგინდა, რომ აღნიშნულ სტატიებში სტატიებში გ. ზ.-ის მიმართ გამოყენებულია ვარაუდის შემცველი ისეთი ფრაზეოლოგია, როგორიცაა „შესაძლო დანაშაული“. სტატიებში მითითებულია, რომ გ. ზ. გათავისუფლდა ბრალდებისაგან: „სისხლის სამართლის ბრალდებისაგან გათავისუფლება არ აძლევს სტუდენტს სკოლაში ავტომატურად დაბრუნების შესაძლებლობას“; „გ. ზ. გაამართლეს გაუპატიურების ბრალდებით“. აღნიშნული სტატიები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენს იმ ფაქტის საპირისპირო მტკიცებულებას, რომ გ. ზ. დამნაშავედ ცნო სასამართლომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში.

განხილვის კოლეგიის მიერ დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა 2022 წლის 28 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე (ადმინისტრაციული საქმე N---) გ. ზ.-ს უწოდა „დამნაშავე“; აცხადებდა, რომ საჩივრის ავტორმა „გააუპატიურა თანასაკნელი ქალი“ და „ამერიკული პრესა საუბრობდა“ აღნიშნულ ფაქტზე (იხ. გადაწყვეტილების მუხლი 4.2.1) („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 და 9.3 მუხლების დარღვევა).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისს გამართული სხდომის (ადმინისტრაციული საქმე N---) ოქმი;
3. ამერიკული პრესის სტატიები (სპრინგფილდის კავშირი - ახალი ამბები და კვირის რესპუბლიკური სპრინგფილდი; გამოქვეყნების თარიღი: 28/12/2003).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და გადაწყვიტა, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა დაარღვია პროცესის მონაწილესთან ურთიერთობის ეთიკური სტანდარტი, როდესაც გ. ზ.-ის მიმართ გამოიყენა ფრაზები: „უყურე ერთი ამას, შენს შიზოფრენიას უსმენს აქ მთელი საქართველო, მთელი 3 თვე... შიზოფრენიას ვუსმენთ ყველა, მთელი საზოგადოება და მომეცით საშუალება აზრი გამოვთქვა.... შიზოფრენიაა ეს ყველაფერი აბა რა არის...“. შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მუხლი 9.1).

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან…. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მუხლი 9.4).

6.2 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალური ნორმები მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, №დს-შ/5-15).

6.3 ეთიკის კომისიის მრავალწლიან პრაქტიკაზე დაყრდნობით, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ადვოკატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულნი არიან არა მხოლოდ კლიენტების, არამედ პროფესიის წინაშე. გამომდინარე აქედან, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება საქმიანობა განახორციელეს ისე, რომ ჩრდილი არ მიაყენოს მთლიანად ადვოკატთა კორპუსს. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებები, არა მხოლოდ კლიენტების, არამედ პროცესის მონაწილეთა მიმართაც უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ქცევის სტანდარტებს. ადვოკატებს პროცესის მონაწილეთა მიმართ ეკისრებათ ისეთი ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები, როგორებიცაა: არ შელახონ პროცესის მონაწილეთა უფლებები, პატივი და ღირსება; პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციაში გამოიჩინონ პატივისცემა და მათთან ნებისმიერი პაექრობა წარმართონ ისე, რომ სრულად დაიცვან ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები და განამტკიცონ პროფესიის მიმართ პატივისცემა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“, 08/06/2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე N002/14; ეთიკის კომისიის 24/01/2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №075/10).

6.4 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის შესაბამისად, ადვოკატები სარგებლობენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით, ამავდროულად, მათ ეკისრებათ ვალდებულება, ამ უფლების რეალიზაციისას იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად (Basic Principles on the Role of Lawyers, adopted by the 8th UN Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba,1990, 23.). ადვოკატები, როგორც საზოგადოებრივი ოფიცრები, მართლმსაჯულების სისტემაში მათი როლიდან გამომდინარე, უფრო შეზღუდულნი არიან კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული თავისუფლებით სარგებლობაში (ეთიკის კომისიის 25.05.22 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N089/21, 6.7). შესაბამისად, ადვოკატებს ეკისრებათ ვალდებულება არ მიაყენონ შეურაცხოფა პროცესის მონაწილეებს და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, იზრუნონ ადვოკატთა კორპუსის რეპუტაციაზე.

6.5 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი 2022 წლის 28 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმითა და მხარეთა - ახსნა განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა 2022 წლის 28 ივნისის სასამართლო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის დროს პროცესუალური მოწინააღმდეგის მისამართით გამოიყენა შემდეგი შეურაცხმყოფელი ფრაზები: „უყურე ერთი ამას, შენს შიზოფრენიებს უსმენს აქ მთელი საქართველო მთელი 3 თვე...“; „შიზოფრენიანს ვუსმენთ ყველა, მთელი საზოგადოება და მომეცით საშუალება აზრი გამოვთქვა...“; ,,შიზოფრენიაა ეს ყველაფერი აბა რა არის...“; ,,შიზოფრენიას ვისმენთ თქვენსას თქო, მხარის, ფეისბუქ გვერდზე, ამას ვგულისხმობ, წარმოდგენილია მტკიცებულებები...“. განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის შეფასებას და განმარტავს, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ ზემოთ ხსენებული ფრაზების გამოყენებას წინ უძღვის მისი და გ. ზ.-ის დაძაბული დიალოგი, რაც 2022 წლის 28 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესების ერთიანი კონტექსტის გათვალისწინებით, გონიერი დამკვირვებელს სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაარწმუნებს, რომ ზემოთ ხსენებული ფრაზები მიემართება მოპასუხე მხარეს - გ. ზ.-ს. განხილვის კოლეგიამ ასევე გაიზიარა საპროცესო კოლეგიის შეფასება, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „შიზოფრენია“ არ არის შეურაცხმყოფელი შინაარსის, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს აღნიშნული ტერმინი არ გამოუყენებია სამედიცინო მნიშვნელობით, სადავო ფრაზებით მან გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება მომჩივანი მხარის - გ. ზ.-ის მიმართ და სასამართლო სხდომაზე წარმოშობილი უთანხმოების საპასუხოდ, ადვოკატმა საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება შეაფასა ისეთი ფრაზეოლოგიით, რაც სცდება დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და მისი ერთადერთი მიზანია პროცესუალური მოწინააღმდეგის დამცირება და პირდაპირი შეურაცხყოფა. შესაბამისად, განხილვის კოლეგია სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ დარღვეულია პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 და 9.4 მუხლები და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5 (გ) მუხლი.

6.6 განხილვის კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატმა ა. კ.-მა სასამართლოს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია გ. ზ.-ის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე და ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარ შეცნობით ყალბი მტკიცებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მუხლი 9.3).

6.7 განხილვის კოლეგია განმარტავს, საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია კანონიერება, შესაბამისად, ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონის ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ კანონიერი საშუალებები (ეთიკის კომისიის 26/06/2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №074/16).

6.8 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია ამერიკული პრესის, „სპრინგფილდის კავშირი - ახალი ამბები და კვირის რესპუბლიკური სპრინგფილდის“ 2003 წლის 28 დეკემბრის სტატია, რომლითაც დასტურდება, რომ გ. ზ.-ის მიერ სექსუალური ძალადობის საქმეზე, რომელზეც სასამართლო პროცესზე უთითებს ადვოკატი ა. კ. და მოსამართლეს არწმუნებს, რომ აღნიშნული სტატიებით დგინდება საჩივრის ავტორის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღეს გამამართლებელი ვერდიქტი. 2022 წლის 28 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული სხდომის (ადმინისტრაციული დავა N---) ოქმის მოსმენის შემდეგ კი დადგინდა, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა სასამართლო სხდომაზე გ. ზ.-ის მიმართ რამდენჯერმე გამოიყენა ტერმინი „დამნაშავე“; მტკიცებით ფორმატში გააჟღერა, რომ „ფაქტს ჰქონდა ადგილი“ და საჩივრის ავტორის მიმართ სასამართლოში განაცხადა: „გააუპატიურა.... მომეცით საშუალება იმ მტკიცებულებაზე მივუთითო, რაც მე მიმაჩნია რელევა ნტურად...“. სხდომის ოქმის მოსმენის შედეგად დგინდება, რომ ადვოკატი გ. ზ.-ს აკისრებს საკუთარი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთს და განმარტავს, რომ მას ეკისრება მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება (იხ. გადაწყვეტილების 4.2.1 მუხლი). სხდომის ოქმის მოსმენის შედეგად დგინდება, რომ ადვოკატი მოსამართლის შენიშვნის შემდეგაც იყენებს სადავო ტერმინს და ეთიკის კომისიისათვის წარდგენილი განმარტებისაგან განსხვავებით, ბოდიშს არ უხდის მოწინააღმდეგე მხარეს. განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის შეფასებას და მიიჩნევს, რომ ადვოკატი ა. კ. საუბრობს გ. ზ.-ის მიერ სექსუალური დანაშაულის ჩადენის ფაქტზე - მტკიცებით ფორმაში, რაც მოსარჩელე მხარის მიმართ სასამართლო პროცესზე ქმნის უარყოფით ფონს. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი. მოცემულ შემთხვევაშიც, ადვოკატ ა. კ.-ს კლიენტის - ნ. მ.-ის ინტერესები უნდა დაეცვა კანონიერი საშუალებების გამოყენებით, კანონიერი მტკიცებულებების საფუძველზე, რასაც ეწინააღმდეგება სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით მცდარი ინფორმაციის მიწოდება. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ ა. კ.-ის განცხადებაზე, სადაც ადვოკატი უთითებს, რომ გ. ზ.-ს ეკისრებოდა საკუთარი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთი, რაც ასევე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ და შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციებს.

6.9 განხილვის კოლეგია, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისს გამართული სასამართლო პროცესის (ადმინისტრაციული საქმე N---) სხდომის ოქმის ჩანაწერის მოსმენით, რომლითაც დგინდება, რომ ადვოკატი ა. კ. საუბრობს მტკიცებით ფორმატში გ. ზ.-ის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე და მოსამართლის არაერთი შენიშვნის შემდეგაც განაგრძობს მტკიცებით ფორმატში საუბარს. ადვოკატი მოსამართლის პირველი შენიშვნის შემდეგ იყენებს ტერმინს „შემთხვევა“, თუმცა სხდომის ოქმში მკაფიოდ ისმის, რომ ადვოკატი მოუწოდებს გ. ზ.-ს დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა; კვლავ იყენებს ტერმინს „დამნაშავე“ და ამასთან ერთად იყენებს ტერმინს „გააუპატიურა“, რომლებიც უშუალოდ მიემართება გ. ზ.-ს და არ წარმოადგენს შეფასებით ტერმინოლოგიას, რაც შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის მიერ აზრის გამოხატვად. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 6.1) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (მუხლები: 5 და 9.3).

6.10 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც, ადვოკატი ა. კ. ადვოკატ ლ. კ.-ის გვერდის ავლით დაუკავშირდა გ. ზ.-ს, მაშინ როდესაც ადვოკატისათვის ცნობილი იყო, რომ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს იცავდა ადვოკატი. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომლის მიხედვითაც ლ. კ. წარმოადგენდა გ. ზ.-ის ადვოკატს წერილში მითითებულ დავასთან მიმართებით, ხოლო ადვოკატმა ა. კ.-მა ადვოკატის გვერდის ავლით დაამყარა ურთიერთობა გ. ზ.-სთან, ეკისრება საჩივრის ავტორს, რომელმაც სარწმუნო მტკიცების სტანდარტით უნდა დაასაბუთოს ადვოკატის მიერ სადავო ფაქტის ჩადენა.

6.11 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა გ. ზ.-ს 2021 წლის 7 აპრილს ადვოკატმა ა. კ.-მა გ. ზ.-ს ელ. ფოსტიდან, ელ. ფოსტაზე პირადად გაუგზავნა შეტყობინება. შეტყობინების შინაარსი ეხებოდა გ. ზ.-სა და ადვოკატ ა. კ.-ს შორის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, სადაც მხარეებს გ. ზ. და ადვოკატი ა. კ. წარმოადგენდნენ. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე არ დადგინდა, რომ სადავო დროის მონაკვეთში, ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის შეტყობინების გაგზავნისას, (2021 წლის 7 აპრილს), სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში წარმოებულ და დასრულებულ საქმესთან დაკავშირებით, გ. ზ. სარგებლობდა ადვოკატის მომსახურებით და მის ადვოკატს წარმოადგენდა ლ. კ.. შესაბამისად, კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე არ დგინდება ადვოკატ ა. კ.-ის მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის გვერდის ავლით კომუნიკაცია.

6.12 შესაბამისად, განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.4 მუხლის საფუძველზე.

6.13 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

6.14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.15 გადაწყვეტილების მიღებისას, განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი შემდეგი გარემოებები: ფაქტი, რომ ადვოკატი ა. კ. არ არის

დისციპლინირებული, 2023 წლის 20 ივნისს, 27 ივნისსა და 3 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომებზე ადვოკატის მიერ გაჟღერებული პოზიცია და დამოკიდებულება რომლის მიხედვითაც ადვოკატი ნანობს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს უწოდა „დამნაშავე"; განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის პოზიციაზე, რომლის მიხედვითაც დაძაბული სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, ადვოკატს არ ჰქონია გ. ზ.-ისათვის შეურაცხყოფის მიყენების განზრახვა და მომავალში, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას არ შელახოს პროცესის მონაწილის უფლებები და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ქცევის სტანდარტებს. გამომდინარე აქედან, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

6.16 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.17 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N093/22 ადვოკატ ა. კ.-ის /სიითი №/ მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

   გადაწყვეტილებას თან ერთვის ეთიკის კომისიის წევრის - ანა ხურციძის განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის წევრის ანა ხურციძის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №093/22 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომელთა მიერ დისციპლინურ საქმეზე N093/22 მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე (შემდგომში „გადაწყვეტილება“) და აღვნიშნავ, რომ სრულად ვეთანხმები ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატ ა. კ.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის დადგენაში, თუმცა მაქვს განსხვავებული აზრი ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახესთან დაკავშირებით.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეებს, თუმცა არ ადგენს, თუ რა გარემოებები მიიღება მხედველობაში მათი შერჩევისას უფლებამოსილი ორგანოს მიერ. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება“-ის (შემდგომში „დებულება“) 2.5 მუხლით განსაზღვრულია, რომ „ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი“. დებულებით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული რა გარემოებები გაითვალისწინება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრებისას, რადგან დისციპლინური ღონისძიება უფრო მსუბუქი საშუალებაა ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად სახდელთან შედარებით, ეთიკის კომისიამ იმის შესაფასებლად, თუ რომელი მათგანი (დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება თუ დისციპლინური სახდელი) უნდა გამოიყენოს, უნდა იხელმძღვანელოს დებულების 2.5 მუხლით დადენილი კრიტერიუმებით.

მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა, მათ შორის დისციპლინური სახდელი, პროპორციული და თანაზომიერი იყოს. კომისიამ უნდა დაიცვას ბალანსი და წონასწორობა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. პროპორციულობის განსაზღვრისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის

22/05/2017 წლის გადაწყვეტილებაში (საქმე Nდს-შ/3-17), მითითებულია, რომ „.....სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია....“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები გაზიარებულია ეთიკის კომისიის მრავალწლიან პრაქტიკაში: „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17; ეთიკის კომისიის 2023 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N021/22; ეთიკის კომისიის 2023 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N076/21).

მითითებულ შემთხვევაში განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ პროცესის მონაწილესთან ურთიერთობაში ადვოკატი ა. კ. გასცდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალიწინებულ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, როცა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გამოიყენა შემდეგი ტერმინები: „შენს შიზოფრენიას უსმენს აქ მთელი საქართველო.... შიზოფრენიას ვუსმენთ ყველა, მთელი საზოგადოება.... შიზოფრენიაა ეს ყველაფერი აბა რა არის..“ ამასთან, ადვოკატმა განზრახ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე და სასამართლო პროცესზე, საჩივრის ავტორის მიმართ არაერთხელ გამოყენა შემდეგი ფრაზები: „დამნაშავე“ „იმდროინდელი ამერიკული პრესა საუბრობს ფაქტზე, რომ ადამიანმა თანასაკნელი ქალი გააუპატიურა“, „დამნაშავე ხართ“. ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გამოყენებულია საკმაოდ მძიმე ფრაზეოლოგია, რაც მიზნად ისახავს პროცესუალური მოწინააღმდეგის დამცირებას, ღირსების შელახვას და ვერ ისარგებლებს სამართლებრივი დაცვით. ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მის მიერ ზემოთ აღნიშნული ტერმინოლოგიის გამოყენებისათვის მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახის განსაზღვრისას, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ფაქტით, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული და ადვოკატის განმარტებით, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ის ნანობს მომხდარს და მომავალში, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, განუხრელად დაიცავს პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ქცევის სტანდარტებს. ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, ეთიკის

კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

დასახელებულ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ მეტად საყურადღებოა ადვოკატის პირადი დამოკიდებულება, კერძოდ, მართალია, ადვოკატი უთითებდა, რომ ნანობს მომხდარს, თუმცა განმარტავდა: „რომ მცოდნოდა რაც მოყვებოდა ყველაფერს, არ გამოვიყენებდი იმ ფრაზებს“. ამავდროულად, ადვოკატმა ეთიკის კომისიის სხდომაზე გააჟღერა, რომ მან პროცესზევე მოუხადა ბოდიში მოწინააღმდეგე მხარეს და მოსამართლის შენიშვნის შემდეგ, მას სადავო ტერმინი (დამნაშავე) აღარ გამოუყენებია, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის სასამართლო სხდომის (ადმინისტრაციული საქმე N---) ოქმით დგინდება, რომ ადვოკატი მოსამართლის შენიშვნის შემდეგაც არ წყვეტს სადავო ტერმინის გამეორებას (დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში იყენებს სადავო ტერმინოლოგიას), არასწორ ფაქტებს აჟღერებს საჩივრის ავტორის პერსონალურ მონაცემებზე, თითქოს მომჩივანის მიერ დანაშაული ჩადენა დასტურდება პრესაში გამოქვეყნებული სტატიებით და ბოდიშს არ უხდის მომჩივანს. შესაბამისად, ადვოკატი ეთიკის კომისიაც მცდარ ინფორმაციას აწვდის მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, ხოლო მისი პოზიცია, რომ „ნანობს“ მომხდარს, ემყარება იმ გარემოებას, რომ მომჩივანმა მომართა ეთიკის კომისიას და არ წარმოადგენს გულწრფელ აღიარებას/სინანულს.

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატი არ უნდა იქცეოდეს იმგვარად, რომ მისი ქცევა, ადვოკატის პროფესიისთვის და მისდამი ნდობისთვის იყოს ზიანის მომტანი. გარდა იმისა, რომ ადვოკატმა უხეშად შელახა მოწინააღმდეგე მხარის (პროცესის მონაწილის) უფლებები, ამავდროულად, საკუთარი ქცევით ჩრდილი მიაყენა ადვოკატთა კორპუსის რეპუტაციას. „საზოგადოების თვალში ადვოკატი უნდა აღქმული იყოს, როგორც კანონიერების დამცველი, მაღალი პროფესიული ეთიკის მატარებელი, რაც განაპირობებს ადვოკატისადმი ნდობას, ვინაიდან ადვოკატთა პროფესიისადმი ნდობა მართლმსაჯულების გახორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N048/15). ადვოკატმა სრულად უნდა დაიცვას კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში ის ვერ გამართლდება კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნითა და „კლიენტის მიმართ თავდადებით“. ადვოკატს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ სადავო ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშეც შეეძლო, თუმცა მას ეს გაუკეთებია. შესაბამისად, ადვოკატ ა. კ.-ის მოქმედებით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა არამარტო მოწინააღმდეგე მხარეს - გ. ზ.-ის კანონით დაცულ სფეროს, ასევე დაზარალდა ადვოკატის პროფესიის აღქმა საზოგადოებაში.

დასახელებულ შემთხვევაში, ადვოკატმა ეთიკის კომისიის სხდომებზე, მართალია სინანული გამოთქვა მის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, თუმცა ადვოკატის დამოკიდებულება არ ყოფილა გულწრფელი; ადვოკატი არასწორ ინფორმაციას აწვდიდა დისციპლინური საქმის განმხილველ კოლეგიას და აცხადებდა, რომ მან სასამართლო

პროცესზე მოუხადა ბოდიში მოწინააღმდეგე მხარეს და შეწყვიტა სადავო ტერმინოლოგიის გამოყენება; ადვოკატმა 2022 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში განხორციელებული ქმედებებით ჩრდილი მიაყენა არა მხოლოდ პირადად გ. ზ.-ს, არამედ, ზოგადად პროფესიას - ადვოკატთა კორპუსის რეპუტაციასა და იმიჯს საზოგადოებაში. აღნიშნული გარემოებები აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული დისციპლინური სახდელის თუ ღონისძიების განსაზღვრისას. ჩამოთვლილი ფაქტები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუცილებლად მიმაჩნია დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებაზე უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენების საჭიროება.

შესაბამისად, ვხელმძღვანელობ დებულების 35.2 მუხლით და მიმაჩნია, რომ დებულების 2.5 და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1.(ა) მუხლების საფუძველზე ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დისციპლინური სახდელი - გაფრთხილების სახით.

ანა ხურციძე

ეთიკის კომისიის წევრი